

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე (ნაკვ. №002/015) და მთაწმინდის პარკში (ნაკვ. №001/002) საბაგირო სადგურების ესკიზური პროექტების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები

## I ზოგადი ნაწილი

1. ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე და მთაწმინდის პარკში საბაგირო სადგურების ესკიზური პროექტების კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზანია ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედნის და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი ძველი საბაგირო გზის ალტერნატიული, ახალი, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრთა ნაკადების გაზრდას, მათ სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილებას და სადგურების მიმდებარე ტერიტორიის ეფექტიან ორგანიზებას.

2. კონკურსის ამოცანაა ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე და მთაწმინდის პარკში საბაგირო სადგურების (ქვედა და ზედა სადგურები) საუკეთესო ესკიზური პროექტების შერჩევა;

3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს.

4. გამარჯვებულს ღია კონკურსის ფორმით გამოავლენს საკონკურსო კომისია.

5. საკონკურსო განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განთავსება მოხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge);

6. საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის კონკურსში მონაწილე პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. ანგარიშის ნომერი მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

## II საკონკურსო პირობები

1. საკონკურსო პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობა:

ა) საბაგირო გზის ქვედა სადგურისათვის – ვარდების რევოლუციის მოედანი, სასტუმრო „RADISON BLU“-ს მიმდებარე ტერიტორია, ამჟამად დაწყებული მშენებლობის ადგილზე. ტერიტორია წარმოადგენს გახსნილ სივრცეს, რომელიც აქტიურად იკითხება როგორც მიმდებარე გარემოში, ისე ქალაქის სხვა ცენტრალური უბნებიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.002.015).

ბ) საბაგირო გზის ზედა სადგურისათვის – მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე საბაგირო გზის ძველი სადგურის ადგილი, რომელიც ასევე აქტიურად და კარგად იკითხება ქალაქის ყველა მხრიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.06.001.002).

2. საბაგირო გზის ზედა და ქვედა სადგურების ესკიზების მომზადებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

ა) გათვალისწინებულ უნდა იქნას საბაგირო გზის ტექნოლოგიური ნაწილების გაბარიტები, რაც მოცემულია არსებულ პროექტში;

ბ) გარსაცმი უნდა უზრუნველყოფდეს შიდა ტექნოლოგიური ნაწილის გადახურვას (ბუნებრივი ნალექებისაგან დაცვას);

გ) საბაგიროს ტექნოლოგიური ნაწილის ნაგებობის ზედა ნიშნული მინიმუმ სამი მეტრით უნდა იყოს დაშორებული გარსაცმის ნაგებობისგან;

დ) საბაგირო გზის ქვედა და ზედა სადგურებში უნდა განთავსდეს სამართავი ჯიხურები, სალაროები, სველი წერტილები და სხვა, როგორც ეს მოცემულია ქვედა და ზედა სადგურების არსებულ ნახაზებში.

ე) გათვალისწინებულ უნდა იქნას ქვედა სადგურის წინ არსებული მიწისქვეშა ნაგებობა, ასევე ქვედა სადგურის მიმდებარედ არსებული ძველი შადრევნის მიწისქვეშა საკომპრესორო ნაგებობა, როგორც ეს მოცემულია თანდართულ ნახაზებში;

ვ) საბაგირო გზის ზედა სადგურის არსებულ პროექტში მოცემულია ძველი სადგურის ნაგებობის ნაწილი, რომელიც დღეის მდგომარეობით, მთლიანად დემონტირებულია და ახალი მოცემულობის თანახმად, ზედა სადგურის ტექნოლოგიური ნაწილი უნდა განთავსდეს დემონტირებული ნაგებობის ადგილზე, პროექტში მოცემული ნიშნულიდან უკან, დაახლოებით 6 მეტრით;

ზ) საბაგირო გზის ქვედა სადგურის არსებული პროექტი ბაქანზე ასასვლელ კიბეს ითვალისწინებს უკანა (თაბუკაშვილის ქუჩის) მხრიდან. არსებული მოცემულობით, ბაქანზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი უნდა განთავსდეს მის მარჯვნივ და მარცხნივ;

თ) ქვედა სადგური უნდა განთავსდეს N 011504002015 საკადასტრო კოდის მიწის ნაკვეთის ფარგლებში; მგზავრთა ნაკადის შესასვლელი გათვალისწინებულ უნდა იქნას ვარდების რევოლუციის მოედნის მხრიდან;

ი) პროექტირებისას გათვალისწინებული იქნას საბაგირო გზების მწარმოებელი ავსტრიული ფირმის „დოპელმაიერი“-ს გონდოლური ტიპის საბაგირო გზის ქვესისტემების მონაცემები, მათი პარამეტრები და ტექნოლოგიური ნაწილი, რათა შესაძლებელი იქნას საბაგირო გზის, როგორც ერთიანი მოწყობილობის

სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება, მათი უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირება.

კ) პროექტირებისას გათვალისწინებული იქნას საქართველოს მთავრობის 15.08.2011 წ. №320 დადგენილებით დამტკიცებული „ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

ლ) სადგურები უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭირო ინფრასტრუქტურით.

მ) ქვედა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გათვალისწინებული იქნას ავტოსატრანსპორტო პარკირების ორგანიზება.

ნ) იმის გათვალისწინებით, რომ საბაგირო გზის ინფრასტრუქტურის ყოველი ცალკეული ობიექტი აქტიურად აღიქმება დედაქალაქის თითქმის ყველა მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი როგორც არქიტექტურულ-გეგმარებით, ისე მოცულობით-სივრცით გადაწყვეტას, რათა მიღწეულ იქნას ქალაქის ერთიან სივრცეში ორგანულად და ესთეტიკური თვალსაზრისით საინტერესოდ ჩაწერილი ობიექტების შექმნა.

3. კონკურსში მონაწილეებს ესკიზური პროექტების დამუშავებისთვის გადაეცემათ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) ქვედა და ზედა სადგურის ნახაზები;
- ბ) საპროექტო ტერიტორიების ტოპოგრაფიული გეგმა;
- გ) საბაგირო გზის პროფილი;
- დ) ქვედა და ზედა სადგურის ტექნოლოგიური ნაწილის პროექტები;
- ე) საპროექტო ტერიტორიების საკადასტრო გეგმები;
- ვ) არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები.

## II განაცხადი

1. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული ფორმით.

2. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:

ა) განმარტებით ბარათს პროექტის მოკლე აღწერით (მაქს. 2500 სიმბოლო) მთავარი იდეის წარმოსახვით და გადაწყვეტილი კონცეფციის წარმოდგენით, ავტორის მიერ შემუშავებული განსხვავებული ხედვის უპირატესობის დასაბუთებით (PDF ფორმატში).

ბ) სიტუაციური გეგმა ან აეროფოტოგადაღება საპროექტო ტერიტორიის მონიშვნით (მ. 1:2000).

გ) გენგეგმა მომზადებული ტოპოგეგმაზე მიმდებარე ტერიტორიის, მისასვლელი გზის, ტერიტორიაზე შესასვლელის, საკადასტრო საზღვრების, ძირითადი ღერძების, ექსპლიკაციის, საპროექტო შენობის საკადასტრო საზღვრებზე მიბმის, ტერიტორიის კეთილმოწყობის, არსებული და საპროექტო ნიშნულებისა და ლანდშაფტის ჩვენებით (მ. 1:200).

დ) გრძივი და განივი ჭრილები ძირითადი ღერძების, ზომების და ვერტიკალური ნიშნულების დატანით (მ. 1:100).

ე) შენობის ყველა ფასადი (გრაფიკული და ფერადი) ძირითადი ღერძების ზომების და ვერტიკალური ნიშნულების დატანით (მ. 1:100).

ვ) ჭრილებსა და ფასადებზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვრები. ნახაზებზე დატანილი უნდა იყოს ექსპლიკაცია, შენიშვნები და პირობითი აღნიშვნები. ფასადებზე გამოტანილი ხაზით მითითებული უნდა იყოს მოსაპირკეთებელი მასალა და ფერი.

ზ) 3D ვიზუალიზაციას ლანდშაფტზე მორგებით არანაკლებ 6 ხედისა თითოეულ სადგურზე, მათ შორის ახლო ხედებით, ფასადების მოსაპირკეთებელი მასალებისა და დეტალების უკეთესად აღსაქმელად და პანორამული ხედები ფოტომონტაჟების სახით (მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის მითითებით).

თ) ძირითადი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია. მოთხოვნები მოსაპირკეთებელ მასალებზე: მაღალი ხარისხის და სიმტკიცის, გარემო კლიმატურ ზემოქმედებასთან მიმართებაში მდგრადი მასალა.

ი) პროექტის სამუშაო ვერსია – დაარქივებული 3D, ArchiCAD\_ის ან AutoCAD\_ის ფაილების სახით.

3. საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იქნას პრეზენტაციის სახით ქართულ ენაზე PDF ფორმატში (არაუმეტეს 25 მგ., საპრეზენტაციო მასალაზე ავტორის მითითების გარეშე) და დამატებით ცალკეული გამოსახულებებით JPG ფორმატში (გაფართოებით 600 dpi).

დაუშვებელია PDF პრეზენტაციაში ავტორის მითითება.

4. საკონკურსო განაცხადი ატვირთული უნდა იქნას ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge).

5. კონკურსში გამარჯვებული ესკიზური პროექტების ავტორი ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს გადასცემს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს.

6. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კონკურსში გამარჯვებული ესკიზური პროექტების ავტორი ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს ნებას რთავს შეიტანოს ცვლილება გამარჯვებულ ნაწარმოებებში.

7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე განაცხადი რეგისტრირებულად ჩაითვლება წინადადების წარდგენისათვის დაწესებული საფასურის გადახდისა უნიკალური ნომრის მინიჭების შემდგომ.

### III კონკურსის მეშვეობის საპროექტო მომსახურების შესყიდვის ვადები (კალენდარი)

	ღონისძიება	დედლაინი
1	განაცხადების მიღება-რეგისტრაცია	კონკურსის გამოცხადებიდან 2014 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით
2	განაცხადების განხილვა	2014 წლის 24 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით
3	შედეგების გამოცხადება	2014 წლის 29 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით
4	ხელშეკრულების გაფორმება	2014 წლის 1 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით

### IV კომისია

1. კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.
2. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი.
3. კომისიას ჰყავს მდივანი აპარატის შემადგენლობიდან; კომისიის მდივანი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ტექნიკურ მომზადებას და კომისიის ოქმის შედგენას.
4. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
6. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი თავმჯდომარის დავალებით;
7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მდივანი;

8. საკონკურსო კომისია გამარჯვებულის გამოვლენისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიონალიზმი, საპროექტო დავალების სრულყოფილად შესრულება, განხორციელების რეალურობა, არქიტექტურული გადაწყვეტის სიახლე და უნიკალურობა, საპროექტო გადაწყვეტის საქართველოს კლიმატურ პირობებთან ადაპტირება.

## V შესყიდვის შედეგები

1. კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს 1 (ერთ) გამარჯვებულს, რომელთანაც შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას.
2. გამარჯვებული ესკიზური პროექტების შესყიდვის ფასი შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს, რომლის გადახდაც განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის არასაბიუჯეტო სახსრებიდან.
3. კონკურსის მეშვეობით შესყიდვა ჩაშლილად ითვლება თუ:
  - ა) არ იქნა წარმოდგენილი ორი განაცხადი მაინც;
  - ბ) საკონკურსო კომისია არ მოიწონებს არც ერთ წარმოდგენილ კონცეფციას.
4. კონკურსის მონაწილეებს წარმოდგენილი ნამუშევრები უკან უბრუნდებათ.